


# საპატრიარქო

(საპატრიარქოს ერთსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მისი განვითარების  
მოკლე ისტორიული მიმოხილვა)



პასუხი კითხვაზე :

რას წარმოადგენს ევროპის სირიულ-ანტიოქიური  
საპატრიარქო ?

1 - ანტიოქიის ეკუმენური საპატრიარქო დააარსა თავად ქრისტეს მოციქულმა წმინდა პეტრემ, ვიდრე საბოლოოდ დასახდებოდა რომში, სადაც მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა ნერონის მმართველობის ქვეშ. საპატრიარქომ გამოიარა მრავალი ქართველი და განსაცდელი, მრავალი ზეციური სიხარული, ვიდრე საბოლოოდ უშლის ნებბიძე მომწიფდა როგორც ჩვენნი მაცხოვრის, იესო ქრისტეს, წმინდა ეკლესია.

მიუხედავად მცირერიცხოვანი მრევლისა, საპატრიარქომ ფეხი მოიკიდა მსოფლიოს მრავალ ადგილას. მისი ლიტურგია (ღვთისმსახურება) საფუძვლად უდევს წმინდა იოანე ოქროპირის უდიდეს და უბრწყინვალეს ლიტურგიას. ამ ეკუმენური საყდრის დაფუძნების ბოლო ეტაპი აღინიშნა პატრიარქ მარ ებნატიმ იაკობ III-ის რომში მოგზაურობით - რომელიც არის წმინდა პეტრეს შთამომავალი ანტიოქიის საყდარში - სახელოვანი რომის პაპის, მისი უწმინდესობა პავლე VI-ეს მოწვევით. მათი შეხვედრები და თბილი საუბრები ადასტურებს, რომ არ არსებობდა არანაირი უთანხმოება არც დოგმისა და არც დოქტრინის თვალსაზრისით მათ ღვთისმეტყველებასა და ქადაგებებს შორის, რომლებსაც ისინი ამ ორი ეკლესიის მრევლს სთავაზობდნენ (ამ საკითხზე იხილეთ ACTA APOSTOLICAE-ს დასკვნითი კომუნიკე).

2 - ...ანტიოქიის საპატრიარქოს ეკუმენური მისია... (1866 - 1973 წლის 8 დეკემბერი)

ამჟამინდელი ანტიოქიის პატრიარქის ერთერთმა წინამორბედმა, მარ ებნატიმ პეტრე III-მ, თავად ჩვენნი მაცხოვრის, იესო ქრისტეს მიერ ნაქადაგები « წმინდანთა ერთობის მცნების » აღსრულების მიზნით, ლოცვაში ხნისა და ღვთის მოწყალების რწმენით, ეს საპატრიარქო მისია მიანდო ორ თავდადებულ ბერს, რომლებიც საგანგებოდ იკურთხნენ ეპისკოპოსებად, და დაინიშნენ მისიის ხელმძღვანელებად : მისი უწმინდესობა ნ.ნ.ს. შირაძემ და მისი უწმინდესობა ვილბრუნი. ეს დაიწყო 1866 წელს, ავტოკეფალიის წმინდა პრივილეგიით.

რამდენიმე სიტყვით მოგიხსრობთ მათი საპატრიარქო მოღვაწეობისა და ამ მოღვაწეობის დაგვირგინების შესახებ, 1973 წლის 8 დეკემბერს ევროპის სირიულ-ანტიოქიური საბჭოს წინა დღეს.

1 - მისი უწმინდესობა შირაძემ

ამ მოკრძალებულმა ეპისკოპოსმა და ამავე დროს ეფექტურმა და შესანიშნავმა ადმინისტრატორმა თავისი რეზიდენცია დააფუძნა დიდ ბრიტანეთში, სადაც მისი ძალისხმევით წყალობითა და დიდი სირთულეების ფასად იქ ახლა მოქმედებს ბლასტონბერის საპატრიარქო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავიდანვე გლასტონბერის პატრიარქებმა მოახდინეს თავიანთი საპატრიარქო საქმიანობის სპეციალიზაცია. უპირატესობა ენიჭებოდა მოსახლეობას, რომელიც თავს აკუთვნებდა კელტურ ეთნიკურ მიმდინარეობებს. დიდი ბრიტანეთის ამ საყდარმა ექვსი პატრიარქი გამოიცვალა. ბოლო მათგანი, რომელიც დღესაც ცოცხალია, არის დე ვილმონი ნიშმანი : მარ ბელორბიუს პირველი, რომელიც უპირველესი საზრუნავი იყო რომ ყველა მის მიერ ნაკურთხ ეპისკოპოსს ჰქონოდა ნამდვილი ეკუმენური წარმომავლობა. ამ მიზნით, მან მიადწია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებისგან იმას, რომ რამდენიმე ეპისკოპოსი თავიდან იკურთხა, იმ პირობით, რომ ეს კურთხევა მოხდა თითოეული ამ ეკლესიისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა რიტუალის მიხედვით. შემდეგ, 1971 წელს, სავარაუდოდ კონსტანტინოპოლის ეკუმენური პატრიარქის მიმართ თავისი პირადი პატივისცემისა და აღფრთოვანების გამო, მან გადაწყვიტა გაეუქმებინა ბლასტონბერის საუკუნოვანი საპატრიარქო - რისი რატიფიკაციაც მოახდინა დიდი ბრიტანეთის წმინდა სინოდმა - და თან აღნიშნა, რომ იგი იქნებოდა ფერეტეს ხაზის ბოლო პატრიარქი და ამ წოდებას მხოლოდ საპატრიარქო სახით შეინარჩუნებდა ; მაგრამ გაუქმებული საპატრიარქოს დიდმა ნაწილმა, რომელსაც ჰქონდა ურყევი ნება გაეგრძელებინა მისი უწმინდესობა მარ ებნატიმ პეტრე III ბელორბის ეკუმენური მოღვაწეობა, მოითხოვა და მიიღო უფლება შეერთებოდა ანტიოქიის ეკუმენური მისიის მეორე განშტოებას (რომელიც დააფუძნა ევროპაში მისმა უწმინდესობა ვილბრუნიმ), მისი ახლანდელი ევროპის პატრიარქის, მისი უნეტარესობა ბორის პირველის თანხმობით.

2 - მისი უწმინდესობა ვილბრუნი

დაუღალავმა მისიონერმა და მოგზაურმა, მისმა უწმინდესობა ვილბრუნმა დააარსა ამერიკის, ევროპისა და აფრიკის მისიები. ქრისტიანული აღმსარებლობისა და ღვთისმსახურების საქმეში მას სურდა ყოფილიყო ყველაფერი ყველასთვის, მიციქული წმინდა პავლეს მსგავსად. ამიტომაც მან თავის მისიონერებს თავს კი არ მოახვია ანტიოქიის წმინდა ლიტურგია, არამედ ურჩია ემსახურათ უკვე არსებული ლიტურგიების მიხედვით, ვინაიდან ეს ლიტურგიები წარმოადგენდნენ

საეკლესიო ღირსებისა და კანონიერების სრულ გარანტიას. მიუხედავად ავტოკეფალით მინიჭებული პრივილეგიებისა, მას არასოდეს უცდია არსებული ეკლესიების საპატრიარქოს რანგში აყვანა. მას საყოველთაოდ ეთაყვანებოდნენ, როგორც დიდ მისიონერს. ჯანმრთელობის გაუარესების გამო თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ იგი გარდაიცვალა 1929 წელს საფრანგეთში, ვერსალში, ყველასაგან პატივითა და სიყვარულით გარემორტყმული.

მისმა სხვადასხვა მიმდევრებმა დიდი შემართებითა და რწმენით გააგრძელეს დაწყებული მისია, რასაც თან ახლდა იერარქიასთან დაკავშირებული გარდაუვალი სირთულეები: მმართველი წმინდა სინოდისა და წმინდა სინოდის თავმჯდომარის არარსებობა, რასაც შეეძლო დაესუსტებინა მისი ორგანული ერთიანობა და ეფექტურობა.

ამ უმთავრესი პრობლემის კარგად გააზრებისა და გაცნობიერების შემდეგ, მიუხედავად ზოგიერთების «ინერციის ძალით» არსებული, მაგრამ საკმაოდ გასაგები ყოყმანისა, მისმა უწმინდესობა ბლ(ო)მ მან ასენდელფტმა 1957 წლის თებერვალში მოიწვია მისი უწმინდესობა ვილატას მიმდევარი არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების რიგგარეშე სინოდი. მისი დასრულების შემდეგ ეკლესიების გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა, მისი უწმინდესობა ვილატას მიმდევართა მსგავსად, ესარგებლა ევტოკეფალით მინიჭებული პრივილეგიით და გამოაცხადა საკუთარი თავი საპატრიარქოდ, რომლის პირველი პატრიარქი 1957 წლის 1 თებერვალს გახდა მისი უწმინდესობა მარ იოანე მარია პირველი. თხუთმეტი წლის შემდეგ მისი უწმინდესობა ბორისისთვის გაგზავნილ ორ წერილში, რომელიც 1971 წლის 1 მარტს დანიშნა წმინდა საყდრის სტუმარ ეპისკოპოსად, მისმა უნეტარესობამ მარ იოანე მარია პირველმა ოფიციალურად მოითხოვა თანამდებობიდან გადადგომა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. წმინდა სინოდმა, რომელიც სასწრაფოდ შეიკრიბა საეკლესიო ასამბლეაზე, ევროპის ავტოკეფალური ეკლესიების მეორე პატრიარქად დანიშნა წმინდა საყდრის წინა სტუმარი ბორისი, მარ ბორის პირველად წოდებული.

დანიშნისთანავე ახალმა პატრიარქმა, რომელიც იყო ღრმად მორწმუნე და ამავე დროს ძალზე აქტიური ადამიანი, განიზრახა განემტკიცებინა ეკლესიების მომავალი და ამ მიზნით დააარსა წმინდა პეტრეს სამი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი (საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში). იგი განსაკუთრებით ეთაყვანებოდა ღვისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს, რომელიც დასავლეთში მარადიული ხსნის ღვთისმშობლის ხატის სახელით არის ცნობილი. მან მიიღო წმინდა ეპისკოპოსისა და დოქტორ ალფონს-მარი ლიგორისგან არაერთი სულიერი და მატერიალური დახმარება. შემთხვევითი არ იყო, რომ მან ღვთის ნებად მიიღო რომის წმინდა პატრიარქის, მისი უწმინდესობა პიუს IX-ს ინიციატივა, რომლის შედეგადაც 1866 წელს დოქტორ ალფონსოს გაუბს დაევალიათ აღმოსავლეთის წმინდა ხატის შენახვა და მისი კულტის გავრცელება.

1866 : სირიულ-ანტიოქიური ეკუმენური მისიის პირველი გამგზავრება დასავლეთისკენ.

1866 : მარადიული ხსნის წმინდა ხატის კულტის გავრცელება პიუს IX-ს დაავალებით დოქტორ ალფონსოს გაუბს მიერ.

უნდა ჩაითვალოს თუ არა ამ ორი მისიის დროში დამთხვევა, რომელთაგან ერთი დაიწყო ანტიოქიიდან, ხოლო მეორე რომიდან (წმინდა პეტრეს ამ ორი საყუდრევიდან) უბრალო შემთხვევითობად? რწმენის ნათელში დაგანებული გულისა და სულისათვის

პასუხი იქნება : არა. ეს დამთხვევა უფლის ნების გამოხატულებაა, რაც დღეს ასევე გრძელდება ამ ორი და ეკლესიის მოღვაწეობაში : 1973 წლის 8 დეკემბერს, ერთის მხრივ, წმინდა წლის გამოცხადება რომის ეკუმენური საყდრის მიერ და, მეორეს მხრივ, ახლანდელი პატრიარქის, მარ ბორის პირველის მიერ ევროპის სირიულ-ანტიოქიური ევტოკეფალური ეკლესიების ასი წლისთავთან დაკავშირებით წმინდა საბჭოს მოწვევა. აღსანიშნავია აგრეთვე საბჭოს მამებისთვის შეთავაზებული საკითხების პირველი სია :

1. წმინდა მარიაამის უბიწო წიაღში სრულიად სირიულ-ანტიოქიური საპატრიარქოს კურთხევის საზეიმო რატიფიკაცია ;

2. პიუს მე-IX-ს მიერ დოქტორ ალფონსოს გაუბსათვის ნაბოძები სასწაულმოქმედი წმინდა ხატის საზეიმო კურთხევა მარადიული ხსნის ღვთისმშობლის სახელით ;

3. მარადიული ხსნის ღვთისმშობლის გამოცხადება ყველა ქრისტიანისა და იესო ქრისტეს ყველა ეკლესიის ერთიანობის დედოფლად.

აღმოსავლეთიდან მოვლენილი, დასავლეთის მიერ ნათაყვანები და ქრისტიანების ერთიანობის დედოფლად თავიდან ნაღიარები წმინდა მარიაამი ამიერიდან ლოცვაში შემდეგნაირად მოიხსენიება: ქრისტიანთა ერთიანობის დედოფალო, მარადიული ხსნის ღვთისმშობელო, ილოცე ჩვენთვის, გააერთიანე შენი შვილები.

მარტივი მელოდიის, ყველასათვის ხელმისაწვდომი, ყველა ენაზე ნათარგმნი საგანგებო გალობა ფართოდ გავრცელდება, რათა შეახსენოს თავმდაბალ მორწმუნეთ ღვთისმშობლის მუდმივი ლოცვა და მისი კეთილისმყოფელი სუფევა, რომელსაც მუდმივად მივეყვართ იესო ქრისტეს სიყვარულისკენ.

4. წინადადება მისი უნეტარესობა ეგნატე - პეტრე III ბედროსის სიქველეთა გამირობად გამოცხადების შესახებ, მისი წმინდანად აღიარების მიზნით.

5. წმინდა დოქტორისა და ეპისკოპოსის, ალფონსო-მარია ლიგორის განსაკუთრებით დაფასების მიზნით, რომლის ცხოვრებას, შესანიშნავ ნაშრომებსა და ადამიანებისადმი გაწეულ დახმარებას მუდმივად მივეყვართ წმინდა ზიარებისა (ეპქარისტის) და ღვთისმშობლის მადლთან, გამოითქვა წინადადება, რომ მისი ხატი დასვენებულ იქნას ჩვენს ყველა ეკლესიაში და მას თავყვანი სცეს ოფიციალურად მრევლმა მის საპატრიარქოდ გამართული წირვის დროს... (შემდეგ მოსდევს საბჭოს მიერ განხილული სხვა საკითხები).

მისი უწმინდესობა მანველასი  
წმინდა სინოდისა და მისი უნეტარესობა ევროპის სირიულ-  
ანტიოქიური ავტოკეფალური ეკლესიების პატრიარქის,  
ქრისტიანთა ერთობის მოციქულის,  
მისი უწმინდესობა ბორის პირველის,  
მღივანი-კანცლერი

1973 წლის 8 დეკემბერი

და იმჰეანე ისინი ერთნი (იესო ქრისტეს ლოცვა)